თამარ მაზანაშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
tmaza20@freeuni.edu.ge

ირანის საკითხის გავლენა ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე

რეზიუმე

ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტორს, კრიტიკული გავლენა აქვს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ფორმირებაზე. რეგიონის პოლიტიკური არასტაბილურობისა და მიმდინარე კონფლიქტების, რუსეთ-უკრაინის ომისა და ენერგო უსაფრთხოების მხრივ არსებული გამოწვევების პირობებში განსაკუთრებულად საინტერესოა ირანის, როგორც რეგიონის ერთ-ერთი დომინანტი ძალის გავლენა ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე.

ირანის გეოპოლიტიკური პოზიცია, ბირთვული ამბიციები, რეგიონული გავლენა და უფრო და უფრო კომპლექსური ურთიერთობები მთავარ საერთაშორისო აქტორებთან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების დინამიკის ფორმირებაში, 2025 წლის ივნისში კი რეგიონში ესკალაციების ფონზე ირანის საკითხის მნიშვნელობა NATO-ს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებისთვის ცხადი გახდა.

კვლევაში განხილულია ირანის საგარეო, რეგიონული თუ შიდა პოლიტიკის ის ძირითადი კომპონენტები, რომლითაც 1979 წლის შემდეგ ჩამოყალიბებული რეჟიმი გავლენების გაფართოებას ცდილობს. განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა თითოეული კომპონენტის გავლენას ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაზე. კვლევის ბოლოს გაანალიზებულია, რა სახის გავლენა აქვს და/ან შესაძლოა ჰქონდეს ირანის პოლიტიკის თითოეულ კომპონენტს ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე.

საკვანძო სიტყვები: ირანის ისლამური რესპუბლიკა, ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება, წინააღმდეგობის ღერძი, ირანის ბირთვული პროგრამა, ჰორმუზის სრუტე.

შესავალი

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სტრატეგიული გეოგრაფიული მდგომარეობა ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტების გასაყარზე და მის ტერიტორიაზე არსებული უხვი ენერგეტიკული რესურსი რეგიონს კრიტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს გლობალური უსაფრთხოების კონტურების ფორმირებაში. ამრიგად, რეგიონში მიმდინარე მოვლენებისა და ცალკეული ქვეყნების ინტერესების მნიშვნელობა სცდება რეგიონის საზღვრებს და გავლენას ახდენს ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზეც. მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა ენერგო-უსაფრთხოება და ეკონომიკური სტაბილურობა, ეფექტური კონტრ-ტერორისტული პოლიტიკა და სხვა.

ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური სტაბილურობა ჯერ კიდევ მყიფე საკითხია. ისეთი რეგიონული ძალები, როგორიცაა, მაგალითად, ირანი და საუდის არაბეთი დომინაციისთვის ერთმანეთთან მუდმივ შეჯიბრებაში არიან (CFR Education 2024). ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იზრდება ირანის, როგორც არასტაბილური აქტორის, როლი რეგიონის გეო-

პოლიტიკური პროცესების წარმართვაში. ირანის რეგიონული აქტივობები სამ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება: ამერიკის შეერთებული შტატებისა და, ზოგადად, დასავლური გავლენების შემცირებას, რეგიონში ისრაელის სახელმწიფოს არსებობის ოპოზიციონირებასა და საუდის არაბეთთან რეგიონულ მეტოქეობას. ამ ამოცანების ფონზე ირანისთვის მთავარი საკითხი იმ რეჟიმის შენარჩუნებაა, რომელიც 1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა (Cakirözer 2025, 2). რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების ლანდშაფტზე ირანის გავლენა განპირობებულია ე.წ. „ირანის ბირთვული პროგრამის" არსებობითაც (რეხვიაშვილი 2025) და მისი მჭიდრო კავშირებით პროქსი-ჯგუფებთან, მილიციურ ქსელებსა და ისეთ საერთაშორისო აგრესიულ აქტორებთანაც, როგორიცაა რუსეთი.

ამრიგად, ირანი საკუთარი მიზნების შესაბამისად მოქმედებს და დესტრუქციულ მეთოდებსაც მიმართავს, რაც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების საკითხებს რისკის ქვეშ აყენებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც 2025 წლის 13 ივნისს ისრაელმა იერიში მიიტანა ირანის ურანის გამდიდრების მთავარ ობიექტზე ქალაქ ნათანზში (რადიო თავისუფლება 2025), ირანმა კი ისრაელის მიმართულებით დრონებისა და რაკეტების საპასუხო თავდასხმა განახორციელა (Psaropoulos 2025). შეიარაღებულ კონფრონტაციაში კი 21 ივნისს აშშ-ც ჩაერთო და ირანის სამ ბირთვულ ობიექტს შეუტია (RFE/RL 2025).

ანტი-დასავლური კოალიცია

2025 წლის 17 იანვარს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და ირანის პრეზიდენტ მასუდ პეზეშკიანს შორის მოსკოვში ხელი მოეწერა ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებას, რომელიც მომავალი 20 წლის განმავლობაში ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ირან-რუსეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის მთავარი მამოძრავებელი ძალა მათი საერთო დაძაბული ურთიერთობებია დასავლეთთან. ირანი რუსეთისთვის ის პარტნიორია, რომელთან ურთიერთობაც 2014 წლის ყირიმის ანექსიისა და 2022 წლის თებერვალში უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის წარმოების შემდეგ დასავლურ ძალთა ბალანსისთვის სჭირდებოდა. თავის მხრივ, ირანისთვის რუსეთია ის მოკავშირე, რომელიც დასავლური სანქციებისა და დიპლომატიური იზოლაციის ფონზე ეკონომიკურ და სამხედრო კოოპერაციას ჰპირდება (Azizi 2025).

ირან-რუსეთს შორის ინსტიტუციონალიზებული პარტნიორობის მიღმაც ცხადია ამ ორ დესტრუქციულ ძალას შორის მჭიდრო კავშირები. კერძოდ, თეირანი რუსეთისთვის იარაღის მთავარ მიმწოდებლად ითვლება, განსაკუთრებით კი ე.წ. კამიკაძე დრონების (ირანული Shahed-136) თვალსაზრისით, რომელიც რუსულ ძალებს საშუალებას აძლევს უკრაინის ინფრასტრუქტურასა და სამოქალაქო სამიზნეებს მიაყენოს ზიანი საკუთარი სამხედრო პერსონალის დაკარგვის რისკის გარეშე (Syed 2022). გარდა ამისა, 2024 წლის სექტემბერში სადაზვერვო ანგარიშები მიუთითებდა, რომ ირანმა რუსეთს ახლო მანძილის ბალისტიკური რაკეტები (CRBM) Fath-360 და Ababil გადასცა და პერსონალს მათი ოპერირებისთვის საჭირო გადამზადებებიც ჩაუტარა (Cakirözer 2025, 9). ირანის მიერ რუსეთის მსგავსი მატერიალური მხარდაჭერა, ერთი მხრივ, უკრაინაში რუსეთის უკანონო თავდასხმას ახანგრძლივებს, მეორე მხრივ კი, პირდაპირ საფრთხეს უქმნის ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებას. უფრო კონკრეტულად, 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ირანში წარმოებულმა რუსეთისთვის გადაცემულმა დრონებმა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების საჰაერო სივრცე დაარღვია. მაგალითად, 2024 წლის სექტემბერში ლატვიის შეიარაღებულმა ძალებმა განაცხადეს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული ასაფეთქებელი ნივთიერებებით აღჭურვილი რუსული დრონი ჩამოვარდა, რომელიც ირანული წარმოების Shahed იყო (AFP 2024).

ირანის მიერ რუსეთის შეიარაღებით მომარაგება ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებას სტრატეგიული რისკის ქვეშაც აყენებს. კერძოდ, ირანული წარმოების დრონების რუსეთის

მიერ პირდაპირ საბრძოლო ველზე გამოყენება თეირანს საკუთარი იარაღის რეალურ სცენარში გამოცდისა და დასავლური მოწინავე საჰაერო თავდაცვითი სისტემების წინააღმდეგ მათი ეფექტურობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას აძლევს. დამატებით, რუსეთისთვის დიდი რაოდენობით კარგი ხარისხის აღჭურვილობის მიწოდება ირანს რეპუტაციულ უპირატესობას ანიჭებს - მრავალწლიანი საერთაშორისო სანქციებისა და იზოლაციის მიუხედავად, მისი თავდაცვითი შესაძლებლობები მას გლობალურ აქტორად აქცევს (Borsari 2024).

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 10 ივლისის NATO-ს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურობის მიერ გამოქვეყნებულ ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციაშიც ხაზგასმულია, რომ ირანის მიერ (ჩრდილოეთ კორეასთან ერთად) უკრაინაში რუსეთის აგრესიის სამხედრო მხარდაჭერა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე და ესკალაციის საფრთხეს აძლიერებს (North Atlantic Treaty Organization 2024a).

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსული აგრესიის შემდეგ სამყაროში ძალთა გადანაწილების კონტურები გამოიკვეთა და მკაფიო გახდა იმ საერთაშორისო წესრიგის მოწინააღმდეგეთა ვინაობა, რომელშიც აშშ და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება დომინირებს. მთავარ წინააღმდეგობრივ აქტორებს ჩინეთი, რუსეთი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა წარმოადგენენ, რომელთაც ექსპერტები „არეულობის ღერძად“ მოიხსენიებენ (Axis of Upheaval). ეს ღერძი დასავლურ სამყაროსთან შეპირისპირებული ქვეყნების მზარდ ალიანსს მოიაზრებს ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით (Center for a New American Security n.d.). ამრიგად, ევრო-ატლანტიკური სივრცისთვის ირანისგან მომდინარე საფრთხე არამხოლოდ რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაში, არამედ აღნიშნული ღერძის ქვეყნებთან კოოპერაციაშიც ვლინდება.

„არეულობის ღერძის“ აქტორებს აერთიანებთ საერთო მტრის ხატი, რომელიც ევრო-ატლანტიკურ ალიანსს მოიაზრებს და მისი გავლენების შესუსტებასა და ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ამრიგად, ირანის კავშირები ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხეა.

„წინააღმდეგობის ღერძი“

ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ კონფლიქტები და არასტაბილურობა აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში პირდაპირ გავლენას ახდენს ევრო-ატლანტიკურ და NATO-ს პარტნიორთა უსაფრთხოებაზე (North Atlantic Treaty Organization 2024a). 1979 წელს ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანი და მისი მოკავშირეები რეგიონში (და არამხოლოდ) არეულობისა და დესტაბილიზაციის დაუსრულებელ ციკლში არიან ჩართულნი. ირანის მოკავშირეთა და პროქსი-ჯგუფების ამ ქსელს „წინააღმდეგობის ღერძად“ მოიხსენიებენ.

“წინააღმდეგობის ღერძის“ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქსელია ირანისა და ჰეზბოლას კავშირი. ჰეზბოლას იარაღების, წვრთნებისა და დაფინანსების მთავარ წყაროს ირანი წარმოადგენს, რომელიც, სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობების მიხედვით, ყოველწლიურად ასობით მილიონ დოლარს აწვდის ჯგუფს (CFR Editors 2024). კიდევ ერთი ირანთან ასოცირებული პროქსი-ჯგუფია ჰამასი - ისრაელის ოკუპაციისა და გავლენის წინააღმდეგ მოქმედი პალესტინური დაჯგუფება. „წინააღმდეგობის ღერძი“ ირანისთვის საკუთარი სტრატეგიული ინტერესების განხორციელებისა და დასავლური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაა, რაც NATO-ს უსაფრთხოებაზეც ახდენს გავლენას.

1984 წლიდან ირანი ამერიკის შეერთებული შტატების იმ სიაშია შეყვანილი სამ სხვა ქვეყანასთან (სირია, კუბა, ჩრდილოეთ კორეა) ერთად (U.S. Department of State n.d.), რომელიც ტერორიზმის დამფინანსებელ სახელმწიფოებს მოიცავს. ირანის სტრატეგიული ინტერესები გულისხმობს იმ ძალადობრივი გაერთიანებების დაფინანსებასა და მხარდაჭერას, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ რეალობაში წინააღმდეგობას უცხადებენ დასავლურ გავლენებს. მა-

გალითად, ირანი აქტიურად აფინანსებდა იმ ჯგუფებს, რომლებიც ერაყსა და სირიაში აშშ-ის მხარდაჭერილი ძალების წინააღმდეგ იბრძოდნენ (Hassenstab 2024).

ჰორმუზის სრუტე

ირანის ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე გავლენის განხილვისას პრინციპულად მნიშვნელოვანია მისი, როგორც ჰორმუზის სრუტის "მაკონტროლებლის", როლის განხილვა. ჰორმუზის სრუტე ვიწრო საზღვაო არხია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სპარსეთის (არაბულ) ყურეს, ომანის ყურესა და არაბულ ზღვას. ჰორმუზის სრუტე მსოფლიოში ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით საკვანძო წერტილს წარმოადგენს. იმდენად, რომ მისმა ბლოკირებამ გლობალური ენერგომომარაგების მნიშვნელოვანი შეფერხება და ფასების მკვეთრი ზრდა შეიძლება გამოიწვიოს. უფრო კონკრეტულად, გლობალური ენერგომომარაგების კრიტიკული მოცულობა სწორედ ამ საზღვაო არხზე გადის, ვინაიდან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ირანი, საუდის არაბეთი, ქუვეითი, ერაყი და არაბთა გაერთიანებული საამიროები თავიანთ ნავთობ ნედლეულსა და ნავთობპროდუქტებს გლობალურ ბაზარს სწორედ ჰორმუზის სრუტის საშუალებით აწვდიან. თავის მხრივ კატარი, თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) უდიდესი ექსპორტიორი, საკუთარ პროდუქტს სწორედ სრუტის საშუალებით გზავნის. გამომდინარე იქიდან, რომ ნავთობპროდუქტების გამტარი სხვა ამდენად მასშტაბური ალტერნატივა მსოფლიოში არ არსებობს (სხვა მილსადენები ნავთობის მთლიანი ნაკადის მხოლოდ მცირე ნაწილის მიღებას ახერხებენ, ახალი მილსადენების მშენებლობა კი გრძელვადიანი და მაღალხარჯიანი მოცემულობაა), ჰორმუზის სრუტის, როგორც გლობალური ეკონომიკის საყრდენის, როლი შეუფასებელია. აშშ-ის ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის (EIA) თანახმად, სრუტეში ყოველდღიურად საშუალოდ დაახლოებით 21 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი გადაიზიდება - ანუ, საზღვაო ტრანსპორტით სავაჭრო მთლიანი ნავთობის 30% და გლობალურად თხევადი ნავთობის მოხმარების 20%. რაც შეეხება LNG-ის, სრუტეში ყოველწლიურად დაახლოებით 4 ტრილიონი კუბური ფუტი თხევადი ბუნებრივი აირი გადაიზიდება (ძირითადად კატარიდან და არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან) – სავაჭრო LNG-ის მთლიანი მოცულობის მეოთხედზე მეტი. ამრიგად, ჰორმუზის სრუტე კრიტიკულ წერტილს წარმოადგენს როგორც ნავთობით, ისე ბუნებრივი აირით გლობალური სავაჭრო ქსელისთვის. და მას სწორედ ირანი აკონტროლებს. უფრო კონკრეტულად, იურიდიული თვალსაზრისით სრუტეზე გასასვლელს გაეროს საზღვაო სამართლის საერთაშორისო კონვენცია (UNCLOS) არეგულირებს და იძლევა „ტრანზიტული გავლის" უფლებას გემებისთვის (მათ შორის სამხედრო ხომალდებისთვის) თუკი ისინი სრუტეში არ დაყოვნდებიან. ირანს ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი აქვს, თუმცა რატიფიცირებული - არა, რაც ნაოსნობის შეფერხების პოტენციურ საშუალებას აძლევს. სამხედრო თვალსაზრისით კი, სრუტის ჩრდილოეთ სანაპიროზე დომინანტურ ძალას სწორედ ირანის სამხედრო ძალები წარმოადგენენ (Kern 2025). აშშ-ის სადაზვერვო ინფორმაციით, ირანს ათასობით საზღვაო ნაღმი გააჩნია, რომელთა საზღვაო ზოლში განთავსებით კომერციული მოძრაობის შეფერხებას შეძლებს. მისი უპილოტო საფრენი აპარატები, მაგალითად, წარსულში იქნა გამოყენებული გადამზიდების წინააღმდეგ (Atlantic Council Experts 2025).

ირანის ამ შესაძლებლობების ფონზე, ჰორმუზის სრუტის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ფორმირებაში. ესკალაციაში 2025 წლის 22 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატებიც ჩაერთო. კერძოდ, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, ვიცე-პრეზიდენტმა ვენსმა, სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ და თავდაცვის მდივანმა პიტ ჰეგსეთმა თეთრი სახლიდან გაავრცელეს მიმართვა, რომლის მიხედვითაც, აშშ-ის სამხედრო ძალები ისრაელის მხარდამხარ ჩაერთნენ ესკალაციაში და ირანის წინააღმდეგ სამ ბირთვულ, ურანის გასამდიდრებელ ობიექტზე (ნათანზი, ფორდო, ისპაჰანი) განახორციელეს დარტყმები (Moore and Pratz 2025). პენტაგონის სადაზვერვო ინფორმაციით, მათი ფუნქციონირება სულ ცოტა რამდენიმე თვითაა შეჩერებული (Froman 2025). აღნიშნული კი ირა-

ნის ბირთვულ პროგრამაზე შეუქცევად გავლენას ახდენს. ამიტომაც, აშშ-ის რეგიონულ კონფლიქტში ჩართვას მუქარები მოჰყვა და ირანის მხრიდან გაჟღერებული პოტენციურად საპასუხო ქმედება ჰორმუზის სრუტის დაკეტვასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა. ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვა დასავლური სამყაროსთვის ნავთობის ფასების მკვეთრ ზრდასა და შესაძლო ენერგეტიკულ დეფიციტს ნიშნავს. ეს, თავის მხრივ, ინფლაციას, ენერგეტიკული ხარჯების ზრდასა და ევროპული ინდუსტრიების საქმიანობაში ხელის შეშლას მოიაზრებს (Fleming-Jones 2025).

ირანის ბირთვული პროგრამა

ირანის ბირთვული პროგრამა 1957 წელს იღებს სათავეს და უკვე 1960 წლისთვის თეირანში აშშ-ის მიერ მიწოდებული თეირანის კვლევითი რეაქტორის (TRR) მშენებლობა დაიწყო. პროგრამის მიხედვით, ირანს 1994 წლისთვის 10-20 ბირთვული რეაქტორის აშენება და 20 000 მეგავატზე მეტი ბირთვული ენერგიის გამომუშავება ჰქონდა დაგეგმილი. თავდაპირველად ირანმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რათა დაემტკიცებინა, რომ ბირთვული პროგრამის ფარგლებში ატომური იარაღის შექმნას არ გეგმავდა. მაგალითად, 1968 წელს ხელი მოაწერა ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას (NPT) და 1970 წელს მისი რატიფიცირებაც მოახდინა. 1979 წლის რევოლუციისა და აშშ-ის მოკავშირე შაჰის ჩამოგდების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანის ბირთვული პროგრამის მხარდაჭერა შეწყვიტა. ირანის ისლამურმა რესპუბლიკამაც გააუქმა პროგრამა რევოლუციის შემდეგ, თუმცა 1982 წლიდან მისი აღდგენა დაიწყო და ამ წლებში არაერთი ექსპერიმენტი ჩაატარა ურანის გადამუშავებასთან დაკავშირებით. 1995 წლის აშშ-ის სადაზვერვო ანგარიშის თანახმად, ირანი უკვე მკაფიოდ ცდილობდა ბირთვული იარაღის შექმნას. აღნიშნულთან დაკავშირებით კი ირანის მთავრობა მუდმივად აცხადებს, რომ იგი ურანის გამდიდრებაზე სამოქალაქო და სამშვიდობო მიზნებისთვის მუშაობს. კერძოდ, ირანის ელექტროენერგიის ბირთვულ ენერგიაზე გადასვლასა და ამ მხრივ, ნავთობისა და გაზის დამატებით საექსპორტო საქონლად ქცევას ცდილობს (Kerr 2019). 2015 წელს ჩინეთს, საფრანგეთს, რუსეთს, გაერთიანებულ სამეფოს, აშშ-ს, ევროკავშირსა და ირანს შორის მიიღწა შეთანხმება „მოქმედების ერთობლივი ყოვლისმომცველი გეგმა“ (JCPOA). ამ უკანასკნელს უნდა უზრუნველეყო, რომ ირანზე სანქციების შემსუბუქების სანაცვლოდ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის იქნებოდა განკუთვნილი (U.S. Department of State 2015). მიუხედავად იმისა, რომ ირანი ირწმუნება, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისთვისაა განკუთვნილი, იგი 2019 წლიდან აქტიურად არღვევს JCPOA-ს პირობებს. მაგალითად, არღვევს ურანის მარაგის ლიმიტს, JCPOA-თი დაშვებულ ზღვარზე მაღლა ზრდის მის აქტივობას, განაახლა ბირთვულ ობიექტებში საქმიანობა, რაც აქამდე აკრძალული ჰქონდა და საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს (IAEA) ცნობით, 2021 წლის შემდეგ სააგენტოს შეზღუდული აქვს ირანის ბირთვული საქმიანობის სრულფასოვანი მონიტორინგი (Mills 2024). ამჟამად, IAEA-ს მონაცემებით, ირანს 60%-მდე გამდიდრებული 400 კგ-ზე მეტი ურანი გააჩნია, რაც მეტად აღემატება სამშვიდობო მიზნებისთვის საჭირო გამდიდრებული ურანის რაოდენობას და ახლოსაა ბირთვული იარაღის დასამზადებლად საჭირო დონესთან (რეხვიაშვილი 2025). აღნიშნული პროგრამა ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისთვის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ჩარჩოს დარღვევის პოტენციალს ქმნის და, თავის მხრივ, ირანის პოლიტიკური დღის წესრიგის განმტკიცებას რეალურ საფრთხედ წარმოაჩენს (Cakirözer 2025, 8).

დასავლეთის პასუხი

ირანის საკითხი და მისი პოლიტიკა ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე მრავალმხრივ ახდენს გავლენას. ამიტომ, დასავლური კავშირების საპასუხო პოლიტიკა უფრო მეტად კრიტიკული ხდება, ვიდრე ოდესმე. 2023 წლის ვილნიუსის სამიტზე მოკავშირეთა ერთ-ერ-

თი მთავარი განსახილველი თემა სწორედ ირანის ბირთვული პროგრამა იყო, რომლის შესახებაც ითქვა, რომ ირანმა ვერ უნდა შეძლოს ბირთვული იარაღის შექმნა და გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დარღვევა. ამავე სამიტზე ირანი ოფიციალურად იქნა გამოცხადებული, როგორც რუსეთის აგრესიის მხარდამჭერი და უპილოტო საფრენი აპარატების მთავარი მიმწოდებელი. 2024 წლის ვაშინგტონის სამიტზე ხაზგასმით აღინიშნა ირანის პოლიტიკის დესტრუქციული გავლენა ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაზე. ამ სამიტზე მოკავშირეებმა სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, რომელიც სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას მოიაზრებდა. ეს უკანასკნელი NATO-ს კოორდინატორის ფუნქციას ასრულებს რეგიონში, რომლის დახმარებითაც, დასავლეთის რწმენით, უნდა გაძლიერდეს დიპლომატიური დიალოგები, თანამშრომლობის ყველა ინსტრუმენტის დახმარებით გაფართოვდეს ცოდნა აქ მიმდინარე პროცესების შესახებ (Cakirözer 2025, 14-15).

მნიშვნელოვანია ასევე 2004 წელს ჩამოყალიბებული NATO-ს სტამბულის კოოპერაციის ინიციატივა (ICI) (North Atlantic Treaty Organization 2024b), რომელიც კრიტიკულ როლს თამაშობს ირანის საკითხით შექმნილ გამოწვევებთან ბრძოლაში. მაგალითად, ამ ფორმატის ფარგლებში ხდება რეგიონული უსაფრთხოების, კონტრ-ტერორისტული ძალისხმევებისა და ყურის პარტნიორ ქვეყნებთან სამხედრო კოოპერაციის ხელშეწყობა. მაგალითად, სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლით ევრო-ატლანტიკური სივრცე ირანის მიერ მხარდაჭერილი პროქსი-ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხის პრევენციას ახერხებს. ამასთან, ICI-ს ფარგლებში NATO დიპლომატიურ კავშირებს ამყარებს რეგიონის პარტნიორ ქვეყნებთან (ბაჰრეინი, ქუვეითი, კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები) და მათი გაძლიერებით რეგიონში ირანის ძალის დაბალანსებას უწყობს ხელს (Cakirözer 2025, 14-15).

დასკვნა

ირანის მზარდი მხარდაჭერა სხვადასხვა ძალადობრივი და მილიციური ჯგუფებისადმი, ანტი-დასავლური ღერძის ერთ-ერთ აქტორად პოზიციონირება, რუსული იმპერიალიზმისთვის იარაღის მიმწოდებლობა და ბირთვული იარაღის განვითარების გეგმები ირანის საკითხს გლობალური უსაფრთხოების საკითხად აქცევს. იმის გათვალისწინებით, რომ ახლო აღმოსავლეთი ევრო-ატლანტიკური სივრცისთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რეგიონია მისი გეოგრაფიული სიახლოვისა თუ ენერგეტიკული რესურსების გამო, დასავლური სამყარო აქ მიმდინარე კონფლიქტებისა და არეულობისადმი კვლავ მოწყვლად სივრცედ რჩება. მით უმეტეს, რომ ირანი რეგიონული და გლობალური უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მკვეთრ საფრთხეს სწორედ მისი არასტაბილური და ხშირად დესტრუქციული პოლიტიკის გამო წარმოადგენს.

ამრიგად, ირანის საკითხის გავლენა ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე პოლიტიკური დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი საკითხია და იგი დასავლური სამყაროს მხრიდან კოორდინირებულ ძალისხმევას, დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით დაბალანსებულ მრავალპროფილურ მიდგომას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

AFP. 2024. “Latvia Says Crashed Russian Drone Was Fully Armed Shahed.” *The Moscow Times,* September 9. https://www.themoscowtimes.com/2024/09/09/latvia-says-crashed-russian-drone-was-fully-armed-shahed-a86315.

Atlantic Council Experts. 2025. “Four Questions (And Expert Answers) about Iran’s Threats to Close the Strait of Hormuz.” *Atlantic Council,* June 23. https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/four-questions-and-expert-answers-about-irans-threats-to-close-the-strait-of-hormuz/.

Azizi, Hamidreza. 2025. "Strategic Transactionalism: The Iran-Russia Partnership." *Middle East Council on Global Affairs,* June 5. https://mecouncil.org/publication/strategic-transactionalism-the-iran-russia-partnership/.

Borsari, Federico. 2024. "Russia's Swelling Missile Arsenal Threatens to Tip the Scales of War." *Center for European Policy Analysis,* March 4. https://cepa.org/article/russias-swelling-missile-arsenal-threatens-to-tip-the-scales-of-war/.

Cakirözer, Utku. 2025. *Iran's Threat to Regional and Euro-Atlantic Security.* Mediterranean and Middle East Special Group (GSM), Preliminary Draft Report. NATO Parliamentary Assembly. https://www.nato-pa.int/download-file?filename=/sites/default/files/2025-04/025%20GSM%2025%20E%20-%20IRAN%20-%20CAKIROZER%20DRAFT%20REPORT.pdf.

Center for a New American Security (CNAS). n.d. "Axis of Upheaval." Accessed June, 2025. https://www.cnas.org/axis-of-upheaval.

CFR Editors. 2024. "What Is Hezbollah?" *Council on Foreign Relations,* October 29. https://www.cfr.org/backgrounder/what-hezbollah.

CFR Education. 2024. "Regional Politics: Middle East and North Africa." *Council on Foreign Relations, CFR Education,* November 21. https://education.cfr.org/learn/learning-journey/middle-east-and-north-africa-essentials/regional-politics-middle-east-and-north-africa--.

Fleming-Jones, Jeremy. 2025. "What's at Stake for Europe if the Strait of Hormuz is Blocked?" *Euronews,* June 22. https://www.euronews.com/my-europe/2025/06/22/whats-at-stake-for-europe-if-strait-of-hormuz-is-blocked.

Froman, Michael. 2025. "Assessing the Effect of the U.S. Strikes on Iran." *Council on Foreign Relations,* June 27. https://www.cfr.org/article/assessing-effect-us-strikes-iran.

Hassenstab, Nicole. 2024. "Understanding Iran's Use of Terrorist Groups as Proxies." *American University,* February 5. https://www.american.edu/sis/news/20240205-understanding-irans-use-of-terrorist-groups-as-proxies.cfm.

Kern, Michael. 2025. "The Strait of Hormuz: What it is, Where it is, and Why it Matters." *Oilprice.com,* June 23. https://oilprice.com/Energy/Energy-General/The-Strait-of-Hormuz-What-It-Is-Where-It-Is-and-Why-It-Matters.html.

Kerr, Paul K. 2019. *Iran's Nuclear Program: Status.* Report: RL34544. Congressional Research Service. https://www.congress.gov/crs-product/RL34544.

Mills, Claire. 2024. *What is the Status of Iran's Nuclear Programme and the JCPOA?* Research Briefing. House of Commons Library. https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-9870/.

Moore, Elena, and Megan Pratz. 2025. "U.S. Strikes 3 Nuclear Sites in Iran, in Major Regional Conflict Escalation." *NPR,* June 22. https://www.npr.org/2025/06/21/nx-s1-5441127/iran-us-strike-nuclear-trump.

North Atlantic Treaty Organization. 2024a. *Washington Summit Declaration.* Washington, D.C.: NATO. https://www.nato.int/en/about-us/official-texts-and-resources/official-texts/2024/07/10/washington-summit-declaration.

North Atlantic Treaty Organization. 2024b. *Istanbul Cooperation Initiative.* Washington, D.C.: NATO. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52956.htm.

Psaropoulos, John T. 2025. "Is the 12-day Israel-Iran War Really Over – And Who Gained What?" *Al Jazeera,* June 24. https://www.aljazeera.com/news/2025/6/24/is-the-12-day-israel-iran-war-really-over-and-who-gained.

RFE/RL. 2025. "US Warns Tehran Not to Retaliate After Trump Says Bombing Mission 'Obliterated' Key Iranian Nuclear Sites." *RFE/RL,* June 22. https://www.rferl.org/a/trump-us-successful-strikes-iranian-nuclear-sites-fordow/33451214.html.

Syed, Armani. 2022. "What to Know About the 'Kamikaze' Drones Russia is Using to Attack Ukraine." *Time,* October 20. https://time.com/6223204/iran-kamikaze-drones-russia-ukraine/.

U.S. Department of State. 2015. *Joint Comprehensive Plan of Action.* Archived Content. Washington, D.C.: U.S. Department of State. https://2009-2017.state.gov/e/eb/tfs/spi/iran/jcpoa/.

U.S. Department of State. n.d. *Country Reports on Terrorism 2021: Iran.* Washington, D.C.: U.S. Department of State. Accessed June, 2025. https://www.state.gov/reports/country-reports-on-terrorism-2021/iran/.

რადიო თავისუფლება. 2025. „ისრაელის არმიამ ირანზე იერიში მიიტანა.“ *რადიო თავისუფ-ლება,* 13 ივნისი. https://www.radiotavisupleba.ge/a/33441707.html.

რეხვიაშვილი, ჯიმშერ. 2025. „რას წარმოადგენს ირანის ბირთვული პროგრამა და რა დარჩა მისგან?“ *რადიო თავისუფლება,* 19 ივნისი. https://www.radiotavisupleba.ge/a/33448144.html.